

დარგი: ფილოლოგია

მაია მიქაუტაძე

ზაქარია ჭიჭინაძე მაჰმადიან ქართველთა ენობრივი კომპეტენციისა და ეროვნული იდენტობის შესახებ

სტატიაში საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისზე საქართველოს ისტორიულ კუთხეებში (კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, ლაზეთი, სპერი, კოლა, ტაო...) მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების ეროვნული ცნობიერებისა და ენობრივი კომპეტენციის შესახებ რუსული მმართველობის პერიოდში, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. 1889-1892 წლებში ზ. ჭიჭინაძემ რამდენჯერმე მოიარა ფეხით აჭარისა და სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი ქართველებით დასახლებული 350-მდე სოფელი. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მაჰმადიანი ქართველები „წმინდად იცავენ თავიანთ ქართველობას. კაცი რაც უფრო შორდება ზღვის ნაპირს და შორს მიდის, იმდენად უფრო სუფთად არის დაცული და შენახული ქართული ენა ...” ზ. ჭიჭინაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მისი მიზანი სხვადასხვა კუთხისა და განსხვავებული აღმსარებლობის ქართველთა ერთიანობა იყო.

საკვანძო სიტყვები: მაჰმადიანი ქართველები, ეროვნული იდენტობა, ქართული ენა.

XVI-XVII საუკუნეებიდან ოსმალეთის იმპერიის მიერ ქართული მიწების დაპყრობის შემდეგ ისტორიული მესხეთის კუთხეები: კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, ლაზეთი, სპერი, კოლა, ტაო... მოწყვეტილია დედასაქართველოს. ამავე პერიოდში მოხდა ქართველთა გამუსლიმანებაც აჭარასა თუ სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებში.

XIX საუკუნეში თურქთა მმართველობის დროს ეს მხარე მოინახულეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რუსული მმართველობის პერიოდში კი - ვ. ლისოვსკიმ, ა. პავლინოვმა, გრაფინია უვაროვამ, ჟან მურიემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა.

გ. ყაზბეგი 1874 წელს შავშეთში სხალთის ხეობის გავლით ჩავიდა. მისი ცნობით, შავშეთში იმერხევის ჩათვლით 58 სოფელია, საკუთრივ შავშეთში - 36. მოსახლეობა 12-დან 14 ათასამდე იქნება. მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის გამოკლებით არის სუფთა ქართველური რასის. შავშეთში უფრო

ა. მიძაუტაძე

ფეხმოკიდებულია თურქული ენა, იმერხევში კი გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ ენას... (ყაზბეგი 1995: 90-91).

თბილისში 1887 წელს კავკასიის სამხედრო ოკრუგის გენერალურმა შტაბმა გამოსცა პოლკოვნიკ ვ. ი. ლისოვსკის წიგნი „ჭოროხის მხარე, სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევები“, სადაც აღწერილია ჭოროხის მხარის 461 ტოპონიმი, მათ შორის შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიულ სახელებს შეადგენს 58 ერთეული (ცეცხლაძე 2000: 29).

1904 წლის ზაფხულში ტაო-კლარჯეთსა და შავშეთ-იმერხევში იმოგზაურა ნ. მარმა. 1911 წელს მან პეტერბურგში გამოაქვეყნა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ქართული ტექსტი, ლექსიკონი და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური. მეცნიერმა რეგიონის მდიდარ ტოპონიმურ მასალას მოუყარა თავი; დააფიქსირა შავშეთ-იმერხევის დაახლოებით 144 ტოპონიმი.

ნ. მარის შემდეგ ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ-იმერხევის მუჰაჯირი ქართველების ქართულზე ხანგრძლივი, სისტემატური დაკვირვება და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენებურების მეტყველების ტექსტების ენათმეცნიერული სიზუსტით აღწუსხვა შეძლო შ. ფუტყარაძემ. 1993 წელს გამოვიდა მისი “ჩვენებურების ქართული”.

ზაქარია ჭიჭინაძე 1889 წელს პირველად გაემგზავრა ქობულეთში და მას შემდეგ მუდმივად დადიოდა.

ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა საკმაოდ შთამბეჭდავი და მრავალრიცხოვანია; უამრავ საგაზეთო წერილს თუ არ ჩავთვლით, ამ საკითხის შესახებ დაბეჭდილი მხოლოდ წიგნების რაოდენობა 20-ს აღემატება.

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, შავშეთი შედგება 7 სამამასახლისოსაგან, მათ შორის 4 ეკუთვნის შავშეთს, 3 - იმერხევს. შავშეთში ქართული ენა აღარ იციან, სამ სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ (ახალდაბა, გარყელობი, ჭუარები), იმერხევში კი გაბატონებულია ქართული ენა. აქ არის ისეთი სოფლები, სადაც თათრული ენა სრულებით არ იციან (ჭიჭინაძე 1913: 300). შავშეთში ყველა სოფელს ქართული სახელი ჰქვია. ქართული სახელის არმქონე სოფლები იშვიათია. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს შავშეთის 34 და იმერხევის 34 სოფელს (ჭიჭინაძე 1913: 294-297).

ზ. ჭიჭინაძე, სიტყვითა თუ საქმით, უშურველად იღვწოდა მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გათვითცნობიერებისა და საუკუნეების განმავლობაში ერთიან საქართველოს ჩამომორებული მხარეების მშობლიურ ეროვნულ-ენობრივ წიაღში დაბრუნებისათვის.

სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მქონე ქართველი და თურქი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აისახა როგორც საქართველოს ამ ისტორიული კუთხეების მოსახლეობის სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, ასევე მათ მეტყველებაზე. დღეს ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებზე

გავრცელებულ ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში, ქართულ-თურქული ლინგვოკულტურული ურთიერთობების შედეგად, სამეტყველო კოდების შერევის ძალზე საინტერესო სურათია სახეზე. აქ კოდ-სვიჩინგის ხუთივე ძირითადი ქვეტიპია წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, კოდ-სვიჩინგი სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ სრული ბილინგვიზმის ან დიგლოსიის შემთხვევაში (Wei 1998: 156–176; Clyne 2000: 12-30).

რაც შეეხება XIX საუკუნის 70-იანი წლების მდგომარეობას, იმ დროისათვის „ქართული ენა მთლიანად დაცულია იმერხევის ზემო ნაწილებში ყვირაღა-წყლის ხეობის გასწვრივ, რომელიც შავშეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენს, ანუ იმ ადგილებში, რომელთაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ აჭარასთან; შემდეგ იგი ქრება შავშეთის დასავლეთ ნაწილებში, ისევე ჩნდება, თუმცა სუსტად, არტანის უბანში, გურჯის-ხევში... იგი ჩანს კიდევ ართვინის ქვემოთ... გაბატონებულია მთელს სივრცეზე, რომელიც ართვინის უბნის ქვემოთაა, მურღულისა და მაჭახელის რაიონებსა და ჭოროხის ნაპირის გაყოლებით, მარალდის უბანში“ (ცეცხლაძე 2000: 26).

ზ. ჭიჭინაძემ 1889–1892 წლებში რამდენჯერმე ფეხით მოიარა ზემოთ აღნიშნული კუთხეები. მას თან ჩაჰქონდა ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები და უფასოდ არიგებდა. ეს მოგზაურობა ძალიან რთული იყო. ხოჯები და მოლები თავიანთ მრევლს ქრისტიანთან ურთიერთობას, ქართული წიგნების შეხებასაც კი უკრძალავდნენ. ზ. ჭიჭინაძე ცდილობდა, ყველა ოჯახში ერთი ქართული წიგნი მაინც ყოფილიყო; იგი ხოჯებთან და მოლებთან საერთო ენას პოულობდა, ჯამეში ლოცულობდა, ემეგობრებოდა აქაურ მოწინავე ადამიანებს. „ის არც მაჰმადიანობას ებრძოდა და არც ქრისტიანობას ქადაგებდა“. ზაქარია ჭიჭინაძე ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ქართველებს თავიანთი ენა და ეროვნება არ დავიწყებოდათ. იგი საგანგებოდ ბეჭდავდა იაფფასიან წიგნაკებს, მათ ქართულ ანბანსაც ურთავდა. არაბულ ლოცვებს ქართული ასოებით უბეჭდავდა და ქართველ მუსლიმანთა ხალხურ ლექსებსა და თქმულებებს ათავსებდა. ამით ცდილობდა, მუსლიმანი მოძმეები ქართული წერა-კითხვის შესწავლით დაეინტერესებინა.

ზ. ჭიჭინაძე გაზეთებში კორესპონდენციებს გზავნიდა და ქართულ საზოგადოებას ყურადღებასა და მზრუნველობას სთხოვდა.

ზ. ჭიჭინაძე ერთ პირად წერილში წერს: „... წელს აჭარაში მივალ, 17 ათასი წიგნი მიმაქვს თან მათთვის... ვნახოთ, საქმე როგორ წავა. იმედია, რომ ქართული ანბანი მათში მოიფინება“ (იხ. გოგოლიშვილი 2009).

„დაბა და სოფელი“ – ასეა დასათაურებული ციკლი წერილებისა, „ივერიაში“ რომ გამოაქვეყნა ზაქარია ჭიჭინაძემ. 1892 წელს იგი ქობულეთს ეწვია. პარასკევი შეარჩია, რადგან ამ დღეს „ბევრი ხალხი ჩამოდის ჩურუქსუმი სავაჭროდ და შემდეგ ყველა ჯამეში იყრის თავს ... შარშან რომ ვიყავი აქ

ა. მიძაუტაძე

და წიგნები მოვიტანე, ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალთ შეხედა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყეს. შარშან მათში იშვიათად ნახავდით ქართულად კითხვის მცოდნეს, მაგრამ წელს ასე არ არის – შარშანდელი ორი ათასი წიგნი ისეა მოფენილი ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით ქართული ანბანის მცოდნეს, ნამეტნავად ბავშვებს” – ატყობინებს გაზეთ „ივერიას” გახარებული (იხ. გოგოლიშვილი 2009).

ზ. ჭიჭინაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მის მიერ მოვლილ 350-მდე სოფლის მცხოვრებ მაჰმადიან ქართველთა ენა ქართულია: „სამი წლის განმავლობაში მე დავიარე ქობულეთის სოფლები, აჭარის, ლივანის, მაჭახელის და ზეგნის ადგილებში 350-ზე მეტი სოფელი აღმოჩნდა. ყველგან ქართულ ენაზე ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები, მათი საჭირო სახმარებელი ენა ქართული ენაა. სიმღერა, ტირილი, თამაში და სხვანი - სულ ქართულია. ქობულეთსა და აჭარაში ქართული წიგნებიც გავრცელდა“ (ჭიჭინაძე 1913: 296).

თურქულენოვან სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობის გავლენის ბუნებრივი შედეგი გამაჰმადიანებულ ქართველთა როგორც ქართულ, ასევე თურქულ მეტყველებაში პირველ რიგში, მათს ლექსიკაზე აისახა. ეს ზ. ჭიჭინაძემაც მართებულად შენიშნა. მან კარგად იცოდა, აჭარელ მომძეებს რა ხასიათის ლიტერატურა დააინტერესებდა და წიგნებს იმის მიხედვით ურჩევდა. დასტური იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილმა მაჰმადიანმა ქართველებმა თითქმის უცვლელად შეინახეს თავიანთი დედაენა, ქართველური ცნობიერება და ისტორიული ენობრივ-ეთნიკური მეობა არის ის, რომ „ქობულეთლებს ძალიან მოსწონებიათ წიგნი თამარის შესახებ. ერთთავად სულ ამ მეფეზე ლაპარაკობენ, უბით დაატარებენ წიგნს და სასოებით დასცქერიან შიგ ჩაბეჭდილ სურათს“ (ჭიჭინაძე 2005: 117). ასევე მოსწონდათ და დიდი ინტერესით კითხულობდნენ „არსენას ლექსს,” „დავით აღმაშენებელს,” „მაჰმადის ცხოვრებას,” „ქალვაჟიანსა” და სხვა (იქვე). ამ წიგნებს თავსა და ბოლოში ანბანიც ჰქონდა დართული.

ზ. ჭიჭინაძეს ახარებდა ის, რომ ისევ ქართველობდნენ ამ მხარეთა ქართველები, თურქულ ენას ვერ დაევიწყებინა მათთვის ქართული... უხაროდა და ცდილობდა, კიდევ უფრო გაეღვივებინა ეროვნული თვითშეგნება მშობლიურ უბეში ახლადდაბრუნებული მომძეებისათვის.

ზ. ჭიჭინაძე დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ამ მხარეებში მცხოვრები მუსლიმი ქართველების ეროვნულ გათვითცნობიერებასა და ქართული ენის აღორძინებაში უმნიშვნელოვანესი როლი ქართული სკოლების გახსნას ენიჭებოდა. ამ რთული საკითხის ნაწილობრივ გადაჭრის შემდეგაც (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების პირველი ქართული სკოლა ქართველი მაჰმადიანებისათვის გაიხსნა 1881 წელს) იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითონ კარდაკარ, ოჯახ-ოჯახ, სოფელ-სოფელ დადიოდა და ქართულ ანბანსა და წიგნებს ავრცელებდა.

ქობულეთში ძალიან განიცდიდნენ ქართული სკოლის უქონლობას, რაზედაც აქაურ ალა-ბეგებს გულისწუხილი ზაქარია ჭიჭინაძისთვის გაუზიარებიათ.

იგი გაზეთ „ივერიაში“ წერს: „იქნებ ქობულეთის სკოლის საქმე რითიმე გათავდეს. წერა-კითხვის საზოგადოება თუ ვერ დააარსებს ამ სკოლას, მაშინ ამ საქმეს შესძლებს პატივცემული ათანასე არქიმანდრიტი კავკასიძე. ამასწინათ მან დამავალა: „გადაეცით წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ თუ თქვენ არ დააარსებთ ქობულეთში სკოლას, მაშინ მე გადმომეცით, რაც კი ამ სკოლისათვის მოგროვილი ფული გაქვთ და მე დავაარსებ სკოლასო.“ იმედია, ეს საქმე დროზე დაბოლოვდება. სწორედ გული გეტკინება კაცს, როცა ამ მხარის პატარა ბავშვები, ხედავს, რომ აქა-იქ ქართული პატარა წიგნებით დადიან, იხვეწებიან, იმუდარებიან, ქართული ანბანი შეგვასწავლეთო. დიდსა და პატარას ყანებში ქართული წიგნები უბით დააქვთ, დასვენების დროს შიგ ჩასჩიჩინებენ და ანბანს სწავლობენ” (გოგოლიშვილი 2009: 77).

ზაქარია ჭიჭინაძე ხაზს უსვამს, რომ მაჰმადიანი ქართველები: „ახლაც წმინდად იცავენ თავიანთ ქართველობას. კაცი რაც უფრო შორდება ზღვის ნაპირს და შორს მიდის, იმდენად უფრო სუფთად არის დაცული და შენახული ქართული ენა – ქართული ხმაურობა და სიმღერებია, ქართული ღიღინია...” (ჭიჭინაძე 1913: 295).

„ზეგანი“ – ასეა დასათაურებული გაზეთ „ივერიაში“ 1893 წელს გამოქვეყნებული მისი ფელეტონი, რომელიც ზემო აჭარის ისტორიულ წარსულზე ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს. მასში გადმოცემულია, თუ იმ წელიწადს რომელ სოფელში რამდენი კომლი სახლობდა, რა ღირსშესანიშნაობებითაა გამორჩეული და რომელი ცნობილი პიროვნება ცხოვრობდა ამა თუ იმ სოფელში.

ზ. ჭიჭინაძემ მოიარა საქართველოს ყველა კუთხე, იგი შეეხო ერის ისტორიაში მეტნაკლებად მნიშვნელოვან ყველა საკითხს: „დაბეჭდა წერილი ქართველკათოლიკეთა, ქართველმუსლიმანთა, ქართველებრაელთა, ქართველ გრიგორიანთა ეროვნული ერთიანობის შესახებ. თუმცა სარწმუნოებით, სჯულით სხვადასხვანი ვართ, გვარტომობით, ეროვნებით ერთიო“ – წერს იოსებ იმედაშვილი (იხ. გოგოლიშვილი 2009).

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებ და განსხვავებული აღმსარებლობის ქართველთა ერთიანობა – ეს ზ. ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი იყო.

მ. მიქაუტაძე

იმ დროს, როდესაც ცარიზმი დაუნდობლად ებრძოდა სხვადასხვა კუთხისა და აღმსარებლობის ქართველთა ერთიანობას, ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობას დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

ზაქარია ჭიჭინაძეს მემკვიდრე არ ჰყავდა; მძიმე სნეულმა, 1931 წლის მიწურულს, იოსებ იმედაშვილს ანდერძად დაუბარა:

„... აჭარელ აბაშიძეებსა და მუსლიმან ქართველებს ეტყვი, რომ ისინი ქართველები არიან და დედასამშობლო საქართველოს არ უღალატონ, საქართველოს კალთა მაგრა დაიჭირონ, რომ ჩვენი სამშობლო ისევ აღორძინდეს, როგორც თამარის დროს იყო. ... ნახე ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ან ვინც იქნება, ნახე და უთხარი – ჩემი სახლი კერძო მდგმურებისაგან გაწმინდონ და შიგ ჩაასახლონ აჭარა-ქობულეთიდან უბინაო სტუდენტები...” – იგონებს იოსებ იმედაშვილი (გოგოლიშვილი 2009: 80).

ეს იყო კიდევ ერთი ნათელი დადასტურება მაჰმადიანი ქართველებისადმი ზაქარია ჭიჭინაძის დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა.

ლიტერატურა:

გოგოლიშვილი 2009: გოგოლიშვილი ო., განმანათლებელი (ზაქარია ჭიჭინაძე და აჭარა), კრებულში „წელიწადული“ I. ასათიანი ი., გვაზაფა მ., ფუტკარაძე ტ., მიქაუტაძე მ. (რედ-ები). ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2009.

ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი, 1995.

ცეცხლაძე 2000: ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, თბილისი: გამომცემლობა „აჭარა“, 2000.

ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.

ჭიჭინაძე 2005: ჭიჭინაძე ზ., ქართველთა გამუსლიმება, თბილისი, 2005.

Clyne 2000: Michael Clyne, "Constraints on code-switching: how universal are they?" in *The Bilingualism Reader*: pp. 12-30, London, 2000.

Wei 1998: Li Wei, "The 'Why' and 'How' Questions in the Analysis of Conversational Code-switching". In *Code-Switching in Conversation: Language, Interaction, and Identity*: pp. 156–176; London, 1998.